აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი გამოწვევები სკოლებში

ლანა დანელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა ტაბატაძე

თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი
საავტორო უფლება © 2020 წელი, ლანა დანელია

ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლანა დანელიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი გამოწვევები სკოლებში“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი__/__/____

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: ლანა დანელია

დასახელება: „სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი გამოწვევები სკოლებში“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/_____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი და მეტი ყურადღება ექცევა განათლების მიღების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, რადგან განათლება არის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რაზეც დგას სახელმწიფო. განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და თანასწორობა წარმოადგენს მთავარ მიზანს. განათლებული საზოგადოება თავისუფალი იქნება ისეტი მავნე მახასიათებლებისგან, როგორიცაა ბულინდი, აპათია, დეპრესია და სხვა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გამოავლინოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი გამოწვევები სსიპ ქალაქ თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მაგალითზე, შეისწავლოს სკოლის ამჟამინდელი პოზიცია სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებით კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებში.

კვლევის აქტუალობა. განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ძირითადი მნიშვნელობა მიეკუთვნება სკოლას. სამწუხაროდ, სკოლაში მიღებული განათლების დონე საგანში „მოქალაქეობა“ და მისი კავშირი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებთან სათანადოდ არ არის შესწავლილი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საჯარო სკოლის (ქ.თბილისის 192-ე საჯარო სკოლა) მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ღია ტიპის კითხვები). კვლევის ამ მეთოდის გამოყენებისას მკვლევარებს საშუალება ეძლევათ ახსნან ისეთი დეტალები, რომლებიც ვერ დარჩება შეუმჩნეველი. თვისებრივი მეთოდების დროს ჩვენ უფრო დეტალურ ინფორმაციას ვიღებთ იმ ადამიანებისგან, ვის მოსაზრებებსაც შევისწავლით. .

თვისებრივი მეთოდის დროს, გარდა რესპოდენტების მოსაზრებების შესწავლისა, მკვლევარს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია „როგორ“, „რამდენად ხშირად“ და „რამდენი“ კითხვების მიღმაც. კვლევის ფარგლებში კონკრეტული სეგმენტის (ქ.თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) შესწავლა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდების საშუალებით.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე უპირატესობა მივანიჭეთ რაოდენობრივი კვლევითი მეთოდების გამოყენებას. ტრადიციის თანახმად თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის სიღრმისეულ შესწავლას - კვლევის რესპონდენტების

დამოკიდებულებების, მოტივაციებისა თუ პრეფერენციების სიღრმისეულ კვლევას. რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისგან განსხვავებით, თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ ექვემდებარება სტატისტიკურ დამუშავებას და მისი შედეგები არ არის რეპრეზენტატული, თუმცა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია შესაძლებელს ხდის საკვლევი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას.

Resume

Purpose of the study. The purpose of the study is to identify the main problems of the formation of civil society on the example of Tbilisi State School No. 192, to study the current situation of the school in relation to specific target groups of civic education.

The relevance of research. On the one hand, this is due to the fact that the main issues of the contradiction of legislation in the formation of civil society at school were not studied in practical or scientific terms. The role of schools in the formation of civil society is poorly understood.

Research Task Force. The target group of the study is students, teachers, parents of a public school (Tbilisi State School 192). To achieve the validity of the study, it is important that study participants include a significant scale in quantitative terms.

Research methodology. For research purposes, qualitative and quantitave research methods are used (questionnaires, open-ended questions). Using this research methods allows researchers to explain details that should not be overlooked. By qualitative methods, we receive more detailed information from people whose opinion we learn.

For the purposes of the study, we prioritized the use of quantitative research methods. Traditionally, qualitative research aims at an in-depth study of the research topic - an in-depth study of the attitudes, motivations, or preferences of survey respondents. Unlike the quantitative research methods, the data obtained from the qualitative research are not statistically processed and their results are not representative, although the qualitative research methodology enables in-depth information on the research topic.

A qualitative method, in addition to studying the opinions of respondents, the researcher can get information in addition to the questions “how”, “how often” and “how much”. Within the framework of the study, using a qualitative research method, a certain segment was studied (students, teachers, parents of Tbilisi State School No. 192).

შინაარსი

შესავალი 1
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა 3
1.1 სკოლა და სამოქალაქო საზოგადოება 3
1.2 სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში 5
1.3. სამოქალაქო განათლება საჯარო სკოლებში 9
თავი II კვლევითი ნაწილი 17
2.1. კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 17
2.2 კვლევის სამიზნე ჯგუფები და მიმდინარეობა 21
თავი III კვლევის შედეგები და მისი ანალიზი 23
3.1.ფოკუს ჯგუფების ზოგადი ანალიზი (მოსწავლეები) 24
3.2. ფოკუს ჯგუფების ანალიზი (მასწავლებლები და მშობლები) 25
3.3. ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორთან 28
დასკვნა 29
რეკომენდაციები 31
გამოყენებული ლიტერატურა 33

შესავალი

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში არაერთი რეფორმა განხორციელდა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. ყველა რეფორმას თავისი მიზნები და ამოცანები გააჩნდა, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. ზოგ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ცალკეული შედეგების სისტემატიზაცია და შემდგომში განვითარება, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც რეფორმები წარმატებით განხორციელდა.

ქვეყნის, საზოგადოების, სკოლის, ოჯახის ვალია აღზარდოს სრულყოფილი პიროვნება აღჭურვილი ცოდნით, უნარ-ჩვევებით, ღირებულებებით, პოზიტიური ცხოვრებისეული დამოკიდებულებებით და აქტიური მოქალაქისთვის საჭირო თვისებებით. სკოლა წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან საყრდენს, სწორედ სკოლაში უნდა მოხდეს აქტიური მოქალაქის აღზრდა და ჩამოყალიბება.

აქტიური მოქალაქეობა არის[1] ადამიანის ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობებში და მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანის უფლებებისა და კანონის პატივისცემის გზით და ძალადობის გარეშე. რომელ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს აქტიური მოქალაქე? რა ცოდნა და დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს მას? როგორ ისწავლება სამოქალაქო განათლება?

აქტიურ მოქალაქეს აქვს სამოქალაქო, იურიდიული, პოლიტიკური, მორალური პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, სწორი არჩევანის გაკეთების უნარი. ზრუნავს საკუთარ თავზე, ოჯახზე, ქვეყანაზე. გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები და შეუძლია საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა. გააჩნია კრიტიკული აზროვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლია საზოგადოებრივი პრობლემების აღმოჩენა, მონაწილეობს გადაჭრის გზების ძიებაში და შეუძლია სწორი არჩევანის გაკეთება. არ არის ინფორმაციის პასიური

[1] აქტიური მოქალაქეობის სახელმძღვანელო. თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი, 2005.

მიმღები, შეუძლია ინფორმაციის ანალიზი და დასკვნების თავად გამოტანა. გააჩნია მშვიდობიანად თანაარსებობის უნარი და კონფლიქტების მართვა.

აღნიშნული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ერთ-ერთი ძირითადია საგანი „მოქალაქეობის“ შესწავლა. გაკვეთილებზე მოსწავლეები უნდა იღებდნენ ცოდნას პოლიტიკური და იურიდიული, სოციალური და კულტურული, ეკონომიკური წიგნიერების შესახებ. აღნიშნული ცოდნის მიღება და უნარ-ჩვევების გამომუშავება უნდა ხდებოდეს სწავლა-სწავლების ინტერაქტიული მეთოდების - დისკუსიების, დებატების, პროექტული სწავლების გამოყენებით, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკულად დაუფლებას.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა რიგი რეფორმები საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (USAID. PH- International) ამჟამად 1200-მდე სკოლასთან მუშაობს[1], რათა სკოლებში გაუმჯობესდეს სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი მოსწავლეების სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებისთვის. ქვეყნის მასშტაბით ძალიან ბევრი პროექტია წარმოდგენილი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მასწავლებლების დახმარებით განახორციელეს მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. ზოგადად ამ სამოქალაქო განათლების მეშვეობით იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა ქვეყნის, საზოგადოების, სკოლის ცხოვრებაში. ეს საგანი მათ ცხოვრებისთვის ამზადებს. მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საზოგადოებაში მწვავე პრობლემად რჩება ახალგაზრდების აღზრდა, ასევე, მათი პრობლემებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ბევრი გამოწვევის წინაშე აყენებს მომავალი თაობის ბედს და შესაბამისად ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს ანელებს. ამიტომ, დავინტერესდი ამ საკითხით და გადავწყვიტე ჩემი სამაგისტრო თემის ფარგლებში მემუშავა ამ თემაზე.

---

[1] 2007 წლის 13 დეკემბრის საქართველოს მთავრობის სხდომა.
http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=92&info_id=397

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სკოლა და სამოქალაქო საზოგადოება

სასკოლო განათლების სისტემის გაუმჯობესების ინიციატორი არის სახელმწიფო. საზოგადოების როლი სასკოლო განათლების სისტემის განვითარების პროცესში მრავალწახნაგოვანია. იგი უნდა პასუხობდეს იმ გამოწვევებს, რომლითაც ხასიათდება დღევანდელობა, კერძოდ: რა ღირებულებებს, მიზნებსა და გამოწვევებს ეფუძნება სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობა; რა შემთხვევაშია ეს ურთიერთობა სასარგებლო და რა საზღვრები უნდა არსებობდეს მათი თანამშრომლობისას.

სხვადასხვა პუბლიკაციაში ხშირად ხაზგასმულია სკოლის მნიშვნელოვანი როლი ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებაში - „რაც უფრო მჭიდროა სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობა, მით ნაკლები კონფლიქტი და აცდენაა სკოლისა და საზოგადოების ინტერესებსა და მიზნებს შორის.“(გორგოძე ს, 2016)

ნაშრომში **,,სამოქალაქო განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“** განხილულია მოქალაქეობის შესწავლის პრობლემები საბაზო და საშუალო საფეხურზე. დღეს ქართულ ენაზე მასწავლებლის დამხმარე საკმარისი რაოდენობის მეთოდოლოგიური ლიტერატურა არსებობს, მათ უმთავრეს მიზანს 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის იმპლემენტაციისთვის ხელშეწყობა წარმოადგენს. გზამკვლევის ავტორები უშუალოდ მისდევენ ეროვნულ სასწავლო გეგმას და პედაგოგებს პრაქტიკულ რჩევებს აწვდიან, რაც მათ სასწავლო გეგმის სამოქალაქო განათლების საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დაძლევაში ეხმარება. გზამკვლევი შეიცავს როგორც მეთოდოლოგიურ, ისე პრაქტიკულ რეკომენდაციებს (სილაგაძე ნ. და თევზაძე რ., 2013).

ნაშრომში **“სამოქალაქო საზოგადოება და მმართველობა ევროპაში: ეროვნულიდან საერთაშორისო ურთიერთობებამდე” უილიამ ა. მალონი, ნიუკასლის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), და იან ვან დაიტი, მანჰეიმის უნივერსიტეტი (გერმანია),** განხილულია სამოქალაქო საზოგადოების

ადაპტაციის შესაძლებლობები, სკოლებში „მოქალაქეობის“ სწავლების აუცილებლობის საკითხები. წიგნი აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების კავშირს ევროინტეგრაციულ პროცესებთან დემოკრატიის მიმართულებით. ავტორები ამტკიცებენ, რომ ინტერაქცია და ნდობა შედარებით სუსტია ევროკავშირის ასოცირებულ ქვეყნებში, შეზღუდულია მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმატების პროცესი ამ მიმართულებით. (William A. Maloney, Jan W. van Deth, 2008).

ნაშრომი **„დემოკრატია და განათლება“** საგულისხმოა ასევე, განათლების ფილოსოფიის საკითხები. მასში პირველად იქნა თავმოყრილი დიუის მიერ განხილული სკოლაში აღზრდის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. ნაშრომში დიუიმ სრულად დაასაბუთა კონცეფცია აღზრდის, როგორც დემოკრატიის მიღწევისა და იდეალური დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების საშუალების შესახებ. ავტორი განიხილავს განათლებას, როგორც ცხოვრებისეულ აუცილებლობას და წარმოაჩენს პროგრესული და კონსერვატული განათლების პრინციპულ განსხვავებებს. ნაშრომი ასევე ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა აღზრდის სფეროში მორალისა და ცოდნის თეორიები და მათი როლი ადამიანის ზრდა-განვითარებაში, საგანმანათლებლო ფასეულობებში, ინტელექტუალურ, პრაქტიკულ სწავლებასა და ინდივიდის მიერ სამყაროს შეცნობაში (დიუი ჯ, 2010).

ნაშრომში **„სკოლა და საზოგადოება“** ჩამოყალიბებულია მასწავლებლებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საკითხები. წიგნში აგრეთვე განხილულია სწავლა-სწავლებასთან, ეთიკასთან, სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები (ფეინბერგი უ, სოლტისი სოლტისი ი, 2012).

ნაშრომში **„სამოქალაქო საზოგადოების განათლება ფინეთში: კანადის შეხედულება ფინელ პედაგოგებზე“**[1] აღწერილია კვლევა, რომელიც ჩატარდა ჰელსინკში, კერძოდ ფინეთში, 2015 წლის ბოლოს. კანადელმა განათლების პროფესორმა ინტერვიუ ჩაატარა ფინელ მასწავლებლებთან: მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ხუთივე ქვეყანა მხარს უჭერს კეთილდღეობის

[1]https://www.researchgate.net/publication/325933779_Teaching_for_Civil_Society_in_Finland_A_Canadian_Perspective_on_Finnish_Educators'_Reflections

სახელმწიფოს, ფინეთი შეირჩა იმის გამო, რომ იგი ეკონომიკურად და განათლების სისტემითაც ყველაზე მეტად არის განვითარებული. კვლევაში წარმოდგენილია, თუ როგორ ხედავენ ფინელი პედაგოგები სკოლების როლსა ფინეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან და თემებთან მიმართებაში (Orlowski P,2018).

ნაშრომში **„სამოქალაქო განათლების ეფექტურობა: კარგია თუ არა "კარგი" მასწავლებლები "ყველა" სტუდენტისთვის?"** გადმოცემულია შეხედულებები სამოქალაქო განათლების ეფექტურობაზე ამერიკულ სკოლებში. ნაშრომი ეყრდნობა ამერიკელი სტუდენტების გამოკითხვას, თუ რამდენად აძლიერებს „მოქალაქეობის" კურსის მიღება ახალგაზრდების პოლიტიკურ ცნობიერებას, მათ პოლიტიკურ ეფექტურობას და ხმის მიცემის განზრახვას. ეს დემოკრატიული პოტენციალია. შედეგები აჩვენებს, რომ სამოქალაქო განათლება გავლენას ახდენს დემოკრატიულ შესაძლებლობებზე მხოლოდ იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც აქვთ ნაკლები პრივილეგირებული განათლება, და რომ მასწავლებლები, რომლებიც იყენებენ სწავლების უფრო ფართო სპექტრს, ამავდროულად აფერხებენ ცოდნის სტიმულირებას (Gainous J, Martens A, 2012) .

ყველა ზემოახნიშნულ კვლევაში წარმოდგენილია პედაგოგებისა და ახალგაზრდების ხედვა სკოლების როლსა და მნიშვნელობაზე სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში. გადმოცემულია შეხედულებები სამოქალაქო განათლების ეფექტურობაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ჩვენს მიერ განხილული ნაშრომები უმეტეს წილად ეყრდნობა გამოკითხვებს, თუ რამდენად აძლიერებს „მოქალაქეობის" კურსის მიღება ახალგაზრდების პოლიტიკურ ცნობიერებაა თუ, მათი ჩართულობის განზრახვას.

1.2 სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და სასკოლო განათლების შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობასა და მასში არსებული პრობლემების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება

ძირითადად პოლიტიკასთან, პროტესტთან და ქუჩის აქციებთან არის გაიგივებული „საქართველოში დღემდე არსებობს მენტალური, სოციალური და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას უშლის ხელს“ (Hilton, McKay, 2014). ერთ-ერთ მენტალურ ბარიერად, სახელმწიფოსა და საზოგადოების ცნებების დიქოტომიური ბუნების შესახებ საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებულ წარმოდგენას ასახელებენ. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი გვთავაზობს 2012 წლის მარტში გამართული საჯარო დისკუსიის ტრანსკრიპტს სახელწოდებით „მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი“ (Smith, 2013) რომელშიც მოცემულია სამი ექსპერტის მოხსენება და დისკუსია. ექსპერტები სამოქალაქო აქტივიზმს განმარტავენ, როგორც მოქალაქეთა რეაქციას სახელმწიფოს მიერ იგნორირებულ ან სახელმწიფოს მიერ შექმნილ პრობლემაზე. ერთ-ერთი მათგანი ქართულ სამოქალაქო აქტივიზმს აკრიტიკებს და ხაზს უსვამს, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმს ძირითადად ემოციური წინაპირობები აქვს. ის ასევე საუბრობს ქვეყანაში პლურალიზმის პრობლემის შესახებ. აღნიშნული დისკუსიის სათაურიდან და მასში გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩანს, რომ სამოქალაქო აქტივიზმის გაგება საქართველოში უფრო მეტად პოლიტიკურ ასპექტებთანაა დაკავშირებული და არაპოლიტიკურ საკითხებს ნაკლებად ეხება.

საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება ჩანს სამოქალაქო აქტივიზმის საკითხზე ჩატარებულ ბოლოდროინდელ კვლევებშიც. 2017 წლის ახალგაზრდობის კვლევის მიხედვით ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა მთავრობას (34%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (32%), მაშინ როცა მათი უმრავლესობა (56%) მნიშვნელოვნად მიიჩნევს არჩევნებში მონაწილეობას. მეორე მხრივ, კი გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული სამოქალაქო შეხვედრებში, 2% გახლდათ სოციალური აქციის მონაწილე და 4%-ს ხელი აქვს მოწერილი რაიმე სახის პეტიციაზე. მიუხედავად აქტივიზმის პოლიტიკური გაგებისა, კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ რეალურად ახალგაზრდების მხოლოდ 2% არის ნამყოფი პოლიტიკური პარტიის შეკრებაზე და 1% - პოლიტიკურ აქციაზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პროტესტის გრძნობა, თუმცა როგორც პოლიტიკურ, ისე არაპოლიტიკურ სამოქალაქო აქტივიზმში ახალგაზრდობა

პასიურადაა ჩართული.

აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიური ბარომეტრის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 4% ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს. გაეროს ბავშვთა ფონდის 2014 წლის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა (69.2%) არ იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას, ხოლო ზოგად ცოდნას მოქალაქის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ახალგაზრდების მხოლოდ 21,4% ფლობს. ასევე, გამოკითხულთა 90.4% მიიჩნევს, რომ მას ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, თუმცა მხოლოდ 10.9% მონაწილეობს რაიმე სახის აქტივობებში.

იგივე კვლევა გვთავაზობს ინფორმაციას სამოქალაქო აქტივობებში ინტერნეტის დახმარებით ჩართულობის შესახებ. დღევანდელ მსოფლიოში ინტერნეტი სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების ინსტრუმენტია. კვლევის მონაცემებით, ახალგაზრდების მხოლოდ 23% იყენებს ინტერნეტ–ფორუმებს საკუთარი აზრის გამოსახატავად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სტუდენტურ აქტივიზმს, საქართველოში ძირითადად პოლიტიკური და სოციალური კრიტიკის სახით არის გამოხატული. მაგალითად, შეგვიძლია დავასახელოთ ანტი-სამთავრობო აქცია „სისტემა უნდა დაინგრეს“[1] ეკოლოგიური და სოციალური მოძრაობები „მწვანე მუშტი“ და „პარტიზანული მებაღეობა“, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა ვაკის პარკის დაცვა, 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობა და მთავრობის მიერ ჰესების მშენებლობის კრიტიკა. ასევე, 2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს „აუდიტორია 115“,[2] რომელიც თავდაპირველად მხოლოდ საგანმანათლებლო საკითხებზე იყო ორიენტირებული, თუმცა დღესდღეობით უფრო ფართო

[1] ბეჟანიშვილი ა., სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისთვის, 2017. https://cure.erasmusplus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf

[2] ბეჟანიშვილი ა., სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისთვის, 2017. https://cure.erasmusplus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf

მემარცხენე სოციალურ აქტივიზმშია ჩართული.

შედარებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მდგომარეობაა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. სომხეთში, სადაც 2016 ასევე ჩატარდა ახალგაზრდობის კვლევა. სომხეთში გამოკითხულთა 51.7% არ ენდობა მთავრობას. CIVICUS CSI-ს[1] წლის მონაცემებით, სომეხი მოსახლეობის მხოლოდ 2.4% არის არაფორმალური სამოქალაქო ჯგუფის ან მოძრაობის წევრი. ამასთანავე, 2011 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 22%-ს ჰქონდა მოხალისეობრივი საქმიანობის გამოცდილება, ხოლო 2013 წელს მოხალისეთა რაოდენობა 31%-მდე გაიზარდა, მოხალისეთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანი ფაქტორია სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებისათვის.

ეს მაჩვენებელი საქართველოში 2011 წელს მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა სომხეთისგან (17%), თუმცა 2013 წელს ზრდა გაცილებით ნაკლები იყო (19%).

პოლიტიკური სიტუაცია აზერბაიჯანში განსხვავებულია. მიუხედავად საქართველოსა და სომხეთში არსებული მთელი რიგი პრობლემებისა, The Economist Intelligence Unit-ის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით[2], აზერბაიჯანი რეგიონში დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ყველაზე დაბალ, 148-ე პოზიციას იკავებს. ამავე ინდექსით საქართველო 78-და სომხეთი 120-ე ადგილებს იკავებენ. Human Rights Watch-ის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით[3], ქვეყანაში სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების დევნას და მედია-საშუალებების დისკრედიტაციას მასობრივი ხასიათი აქვს. კერძოდ, მთავრობისადმი კრიტიკული განწყობილება ხშირად ცილისწამებად აღიქმება და კრიმინალიზებულია.

ამავე მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2013 წელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მთავრობისადმი ყველაზე მაღალი ნდობის ინდექსი დაფიქსირდა (20%), რაც ბევრად აღემატება სომხეთისა და საქართველოს მაჩვენებელს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს განსხვავება აზერბაიჯანის, ზემოთ ნახსენებ,

[1]იხილეთ:https://cure.erasmusplus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf

[2] იხილეთ: https://bm.ge/ka/article/the-economist-saqartveloshi-demokratiis-xarisxi-gauaresda-regionis-lideri-somxeti-gaxda/47444/

[3] იხილეთ ინფორმაცია: https://www.hrw.org/ka/world-report/2013/country-chapters/259974

პოლიტიკურ თავისებურებებს უკავშირდებოდეს. საქართველოსა და სომხეთის მაჩვენებლები ერთმანეთის მსგავსია. საქართველოს შემთხვევაში, დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის ერთ-ერთ მიზეზად სამოქალაქო აქტივიზმის არასწორი გაგება შეგვიძლია.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ არსებული პრობლემები უკავშირდება სამოქალაქო განათლების მიღების დაბალ დონეს ამ პერიოდში. ის ემთხვევა სამოქალაქოს საგნის დანერგვის ადრეულ პერიოდს და ამდენად საინტერესოა ჩვენთვის, თუ როგორი ნიადაგი დახვდა და შესაბამისად როგორი ევოლუცია განიცადა საზოგადოებრივმა აზრმა სკოლაში ამ საგნის სწავლებასთან მიმართებაში, რადგანას ყოველივე ეს (ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება), აისახება სხვადასხვა დემოკრატიის ინდექსებსა თუ რეიტინგებში

1.3. სამოქალაქო განათლება საჯარო სკოლებში

ქვეყნის, საზოგადოების, სკოლის, ოჯახის ვალია აღზარდოს სრულყოფილი პიროვნება აღჭურვილი ცოდნით, უნარ-ჩვევებით, ღირებულებებით, პოზიტიური ცხოვრებისეული დამოკიდებულებებით და აქტიური მოქალაქისთვის საჭირო თვისებებით. სკოლა წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან საყრდენს, სწორედ სკოლაში უნდა მოხდეს აქტიური მოქალაქის აღზრდა და ჩამოყალიბება. სამოქალაქო განათლების საშუალებით ხდება აქტიური მოქალაქის აღზრდა. აქტიური მოქალაქეობა არის ადამიანის ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობებში და მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანის უფლებებისა და კანონის პატივისცემის გზით და ძალადობის გარეშე. აუცილებელია ვიცოდეთ რომელ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს აქტიური მოქალაქე? რა ცოდნა და დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს მას? როგორ ისწავლება სამოქალაქო განათლება?

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში სამოქალაქო განათლებას ძირითადად აღწერს და განმარტავს კანონი ზოგადი განათლების

შესახებ[1] (მუხლი 3.) ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები:

1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

დ) ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

ე)ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის მატერიალურტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას; (17.03.2006. N2793)

---

[1] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

თ) ინკლუზიური სწავლების დამკვიდრებას.

ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას. (2.03.2007. N4412)[1]

ჩვენს ქვეყანაში ზოგადი განათლება სამოქალაქო ხასიათისაა, რადგან მისი მიზანია საქართველოს მოქალაქის მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. შესაბამისად, სამოქალაქო აღზრდის, როგორც დისციპლინის მიზანია, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. ამასთან, აღნიშნული საგნის სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო კომპეტენციის ჩამოყალიბებაში. ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია სწორედ მოქალაქეების უნარებზე, ცოდნასა და განწყობებზე. სამოქალაქო აღზრდის სწავლების შედეგად მოსწავლეები იგებენ იმას, თუ რას ნიშნავს, იყო მოქალაქე. ამასთან, მოქალაქე არა მხოლოდ უფლებებით არის აღჭურვილი, არამედ მას შესაბამისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობებიც აქვს.

მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, ხელძღვანელობის თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების (ზოგადი განათლების) მიღწევის ხარისხსა და წარმატებას, განხილულია "ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში"[2], რომელიც შექმნილია განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „პ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

---

[1] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 3. http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

[2] საქართველოს მთავრობის დადგენილება N#84 . ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. ერ. 20014 წლის 18 ოქტომბერი ქ.თბილისი. http://www.mes.gov.ge/uploads/griphireba

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის; თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს

ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნისგანხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.[1]

მნიშვნელოვანია, რომ განათლების მუშაკებმა, პოლიტიკოსებმა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა მხარი დაუჭირონ სამოქალაქო აღზრდას საზოგადოების ყველა სეგმენტის, ინსტიტუტების ფართო სპექტრისა და ხელისუფლების საშუალებით.

სამოქალაქო აღზრდის მიზანი სამი არსებითი კომპონენტის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: სამოქალაქო ცოდნის, სამოქალაქო უნარებისა და სამოქალაქო განწყობის ჩამოყალიბება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, სამოქალაქო განათლება ინტეგრირებულად ისწავლება დაწყებით კლასებში (1-4 კლასებში სხვა საგნებთან ინტეგრირებულად, ხოლო მე-5-6 კლასებში – კვირაში 3-საათიანი სასწავლო კურსი "ჩვენი საქართველო"). საბაზო საფეხურზე იგი ისწავლება ისტორიასთან ინტეგრირებით (საერთო დატვირთვა – კვირაში 3 საათი), ხოლო ცალკე საგნად არის გამოყოფილი საბაზო საფეხურის მე-9 და საშუალო საფეხურის მე-10 კლასებში. სამოქალაქო აღზრდის სავალდებულო სწავლებისას მოსწავლის მისაღწევი შედეგები დაყოფილია შემდეგი სამი მიმართულების მიხედვით: პიროვნული განვითარება, მდგრადი განვითარება, მმართველობა და მოქალაქეობა. მე-11-12 კლასებში

ის არჩევითია (ერთწლიანი, კვირაში 2-საათიანი კურსები: მოქალაქეობა, გამოყენებითი ეკონომიკა, სახელმწიფო და პრაქტიკული სამართალი).[2] ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების სტანდარტებიც.

ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო აღზრდის ხელშემწყობი ფორმები სკოლაში, რომელსაც მიეკუთვნება საზოგადოებრივი სამსახური, მონაწილეობა სკოლის მართვაში, მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, მთავრობის ინიცირება და მოდელირება, ცნობილი ადამიანების ცხოვრების შესწავლა, ინტერვიუ აქტიურ ადამიანებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს კვლევა, საჯარო გამოსვლები, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გამოხატვა,

---

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება N#84. 20014 წლის 18 ოქტომბერი ქ.თბილისი. http://www.mes.gov.ge/uploads/griphireba

[2] იხილეთ. http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi

პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა, პროექტები, სადამრიგებლო შეხვედრების საათი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სწავლების პროცესში ენიჭება მოსწავლეებში დემოკრატიული საწყისის განვითარებას, სამოქალაქო წიგნიერების ისეთი ასპექტების გამოკვეთას, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური და იურიდიული განათლების, სოციალური და კულტურული წიგნიერების, ეკონომიკური, ევროპული და გლობალური წიგნიერების გაძლიერების საკითხს.

საბაზო სამოქალაქო კომპეტენციები (პოლიტიკური და იურიდიული კომპეტენცია, სოციალური და კულტურული კომპეტენცია, ეკონომიკური კომპეტენცია და მდგრადი განვითარების კომპეტენცია) სკოლაში სწავლის პერიოდში ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება მოსწავლის ფსიქო-ფიზიკური განვითარების შესაბამისად. სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების ამოცანის მისაღწევად სამოქალაქო განათლების სტანდარტში წარმოდგენილია სწავლების ყოველი მიმართულების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და განწყობების ზუსტი დახასიათება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საფეხურების მიხედვით არის შემოთავაზებული ყოველი მიმართულების შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და განწყობების სირთულე.

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ.[1]

ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა

[1] ეროვნული სასწავლო გეგმა http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/introduction

სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.) მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

სწორედ ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს არსებითი მოთხოვნა აისახება საგნობრივი პროგრამების სამნაწილიან სტრუქტურაში.[1]

2010 წლის შემოდგომაზე, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამოქალაქო განათლების საჭიროებათა პირველი მასშტაბური კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1,633-მა რესპონდენტმა საქართველოს 10 რეგიონიდან. რესპონდენტებს შორის იყვნენ მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები, ადგილობრივი თვითმმართველობისა

და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინამდებარე ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აქცენტს აკეთებს არსებულ საჭიროებებზე, მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე.[2]

H: კვლევაში ნათქვამია, რომ საჯარო სკოლებში მოქალაქეობის

[1] ეროვნული სასწავლო გეგმა. http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/introduction

[2] კვლევის ანგარიში გამოიცა ამერიკული ორგანიზაცია PH International - საქართველოს მიერ, სამოქალაქოგანათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში - სამოქალაქო განათლების საგანი საქართველოს სკოლებში და მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. 2011. http://www.civics.ge/uploads/national_survey_on_civic_education.pdf

სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში. მე მსურს ჩავატარო კვლევა რათა დავინახო სრულდება თუ არა ეს მიდგომა ჩემს მიერ შერჩეულ თბილისის 192-ე საჯარო სკოლაში.

რამდენადაც აღნიშნული დისციპლინის შემოღება სკოლებში, როგორც ვფიქრობ, მოსწავლეთა სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად ჩამოსაყალიბების (რომლებსაც ეცოდინებათ თავისი უფლება-მოვალეობები და სამოქალაქო პასუხისმგებლობანი და შეეძლებათ მათი რეალიზება) ერთ-ერთი საშუალებაა , მე მსურს ჩავატარო კვლევა რათა დავინახო მოქმედებს თუ არა ეს მიდგომა ჩემს მიერ შერჩეულ თბილისი 192-ე საჯარო სკოლაში. ამისათვის ვიყენებ მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების შემთხვევით შერჩევას.

თავი II კვლევითი ნაწილი

2.1. კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის თვისებრივი და

რაოდენობრივი მეთოდები

კვლევის ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისობრივი კვლევა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. კვლევის პირველი ნაწილი პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას სკოლაში, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დადგენას:

- როგორია მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა ცოდნა სამოქალაქო განათლების შესახებ, მათი დამოკიდებულება ამ საგნისადმი და მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობისადმი;
- რამდენად ხდება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება მოსწავლეთა მიერ, ხოლო ამ პროცესის ხელშეწყობა პედაგოგების, სკოლის თვითმმართველობების, მშობლების მიერ.
- როგორ აფასებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლაში სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს?
- როგორ აფასებენ რესპოდენტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების როლს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში?
- რა გავლენას მოახდენს მოქალაქეობის საგნის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე?
- რა გამოწვევების წინაშე დგას სამოქალაქო განათლება?

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევის მეშვეობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად თავად სკოლა იმისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარ სკოლაშივე მოახდინოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება; რამდენად ეძლევა მას საშუალება მიიღოს მონაწილეობა სკოლის მუშაობაში არა მხოლოდ როგორც მოსწავლემ, არამედ როგორც სასკოლო თვითმმართველობის წევრმა. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტარში გამოყენებული ღია კითხვები, ანუ კონკრეტული მაგალითების მოთხოვნა, ასევე

სხვა კატეგორიის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებები იძლევა რესპონდენტთა მიერ გაკეთებული შეფასებების დაზუსტების საშუალებას. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეორე ნაწილი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობისა თუ ამგვარი აქტივობისათვის მათი მზაობის შესწავლას; იმის გარკვევას, თუ მოსწავლეთა რა ნაწილი არის სოციალურად უფრო აქტიური; მიუღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე სოციალურ აქტივობებში, ხოლო, თუ არ მიუღიათ, რამდენად აქვთ ამის გაკეთების სურვილი. კვლევამ ასევე მოგვცა საშუალება შეგვესწავლა, როგორც სამოქალაქო განათლების საგნის მასწავლებელთა, ასევე სხვა საგნის მასწავლებელთა და წარმომადგენელთა მოსაზრებები, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ მოსწავლეთათვის დახმარება სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რამდენად არის მათი მხრიდან მზაობა ამგვარი დახმარებისათვის.

ანკეტირების არსი. სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ურთიერთობა სოციოლოგსა და რესპოდენტს შორის გაშუალებულია ანკეტით, პირველადი სოციოლოგიური მონაცემების მოპოვების ინსტრუმენტით ანკეტა კითხვებისა და პასუხების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ერთობლიობაა, თითოეული კითხვა გამოკვლევის პროგრამულ და პროცედურულ ამოცანებთანაა დაკავშირებული. აგრეთვე ითვალისწინებს რესპოდენტების პასუხების დაფიქსირება-რეგისტრაციას, მათ დამუშავებასა და თეორიულ ინტერპრეტაციას. ანკეტირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენერალური ერთობლიობიდან იმ ნაწილის შერჩევას, რომლის შესწავლაც არის გათვალისწინებული. რესპოდენტების სწორი შერჩევის შედეგად მიღებული მონაცემები მთელი გენერალური ერთობლიობისათვის არის დამახასიათებელი და ზოგადი დასკვნების გამოტანის საშუალებას წარმოადგენს. ანკეტირება არის წერილობითი, უმთავრესად დაუსწრებელი გამოკითხვის ფორმა. ანკეტირების მეთოდი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება რესპოდენტთა დიდი რაოდენობის გამოკითხვისას. ე. წ. მასობრივი გამოკითხვის

დროს.

თვისებრივი მეთოდები მრავალ კვლევით ტექნიკას აერთიანებს.

ესენია, მაგალითად:

- ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- “ცხოვრების ისტორია”;
- ბიოგრაფიული ინტერვიუ;
- ზეპირი ისტორია;
- წერილების, პირადი დღიურების და სხვა წერილობითი
- დოკუმენტების თვისებრივი შესწავლა;
- ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური ინტერვიუ;
- დაკვირვება;
- მონოგრაფიული გამოკვლევა (“შემთხვევის შესწავლა”).

ხშირად თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკის გამოყენებას, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეისწავლოს მისთვის საინტერესო ფენომენი. თვისებრივი მეთოდების კომპლექსური გამოყენება ხშირად ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში ხდება.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ჩაღრმავებული ინტერვიუ ტარდება მოცემულ საკითხზე/თემაზე მოტივების, განწყობების, ღირებულებების, დამოკიდებულებების და განცდების გამოსავლენად. ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი აგებულია რესპონდენტისა და ინტერვიუერის პირად ურთიერთობაზე. ჩაღრმავებული ინტერვიუ მიმდინარეობს პირისპირ და იწერება აუდიო ან ვიდეო ფირზე. ჩაღრმავებული ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთიდან-1,5 საათამდე. ინტერვიუერს მიჰყავს საუბარი, წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით და აქტიურად გადაყავს რესპონდენტი საკითხის ღია განხილვაზე. ასევე ეს მეთოდი პრაქტიკულად არის ფორმალიზებული გამოკითხვისათვის და ფოკუს-ჯგუფისათვის ძნელად მისაწვდომი რესპონდენტების შესწავლის ერთადერთი საშუალება.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაცემთა დამუშავების სირთულე მოქმედებს კვლევის მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე. ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაცემთა ანალიზი ინტერვიუს ტრანსკრიპტის(აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის წერილობითი გაშიფვრა) გაკეთებით იწყება. ამის შემდეგ ანალიტიკოსი

სწავლობს ჩაღრმავებული ინტერვიუს ყველა მასალას და ანალიტიკურ ანგარიშში ახდენს საერთო სურათის ფორმირებას, რომელიც კვლევისას ვლიდნება.

2.2 კვლევის სამიზნე ჯგუფები და მიმდინარეობა

რაოდენობრივი კვლევა. კითხვარის შემუშავება და დიზაინი. მოსწავლეთა დამოკიდებულებებისა და შეფასებების გამოსავლენად შემუშავდა ორნაწილიანი კითხვარი (ანკეტა). კითხვარის პირველი ბლოკი საშუალებას გვაძლევდა შეგვესწავლა სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესის გამართულობა და ზოგადად ამ საგნის საჭიროება მოსწავლეთა თვალთახედვით, ხოლო მეორე ბლოკი შესაძლებლობას გვაძლევდა მოსწავლეებს შეეფასებინათ საკუთარი სამოქალაქო აქტივობა ან მზაობა ამგვარი აქტივობისათვის. კითხვარი დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს 9 შეკითხვას. კითხვები ძირითადად ღიაა.

სამიზნე ჯგუფის მოცულობის დადგენა და კვლევის ადგილის შერჩევა.

გამოკითხვის შერჩევა მოიცავს სსიპ ქ.თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მე-7 მე-11 კლასების მოსწავლეთა ნაწილს, საგნის მასწავლებელებს, სხვა საგნის მასწავლებლებსა და მშობლებს. რესპონდენტთა
შერჩევა მოხდა კლასების მიხედვით, სადაც თითო კლასიდან დაახლოებით 5-6 მოსწავლე. შერჩევა მოიცავს 90 რესპონდენტს.

გამოკითხვა (მასალის შეგროვება). კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა 2019 წლის ოქტომბერში. ხოლო საველე სამუშაოები ჩატარდა 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

192-ე სკოლის სამიზნე ჯგუფების კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა სამი ფოკუსური ჯგუფის გამოკითხვა, თითოეული ჯგუფი შედგებოდა 30 რესპონდენტისგან.

კვლევის სამიზნე სეგმენტი და რესპონდენტების შერჩევა.

- ჯგუფი 1–192-ე საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები;

- ჯგუფი 2–192-ე საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები;
- ჯგუფი 3–192-ე საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები.

ფოკუსური ჯგუფების რესპონდენტების შერჩევა მოხდა მოსწავლეთა და მშობელთა ერთიანი ბაზიდან. მათი შერჩევა მოხდა შემთხვევითად.

აღწერითი კომპონენტი. კვლევის რესპოდენტებს წარმოადგენდნენ ქალები და მამაკაცების მცირე ნაწილი საშუალოდ 14-დან 58 წლამდე. გამოკითხულები იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხოური ენებისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრების მასწავლებლები. კვლევის მონაწილეებს ასევე წარმოადგენდნენ საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეთა მშობლები.

კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები. წინამდებარე კვლევა ლიმიტირებულია, რადგან ის არ მოიცავს რეგიონში არსებულ რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

რაც შეეხება რისკებს, რომლებსაც კვლევის მსვლელობისას წავაწყდი არის ინტერესესის გამოხატვის ნაკლებობა, როგორც დირექციის, ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა მხრიდან, რაც გარკვეულწილად გამართლდა კიდეც, რადგან ზოგმა მასწავლებელმა თუ მშობელმა ანკეტის შესავსებად დროის უქონლობა, ზემოთხსენებული საკითხისადმი ნაკლები დაინტერესება დაასახელა.

კიდევ ერთი რისკი გამოიკვეთა კვლევის მიმდინარეობისას, როცა რესპოდენტები უარს არ ამბობდნენ კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა მიუხედავად თანხმობისა, მათ მიერ შევსებულ ანკეტებში მაინც არ საუბრობენ პრობლემებზე.

მიუხედავად ამისა, კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ძირითადი პრობლემების გამოკვეთა, რაც ვფიქრობ ამ საკითხით დაინტერესებული

მკვლევარებისთვის ერთგვარი მიმართულებაა საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად.

კვლევის ეთიკა. ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის პრინციპების კრებულია, რომელიც ამა თუ იმ პროფესიის ზნეობრივ ღირებულებებს გამოხატავს. როგორც წესი, ის ასახავს იდეალურ წარმოდგენებს ამა თუ იმ პროფესიის შესახებ. საერთო აზრის თანახმად, პროფესიული მორალის ნორმების შემუშავება ამა თუ იმ პროფესიული ჯგუფის წარმომადგენლების მიერ მათი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და აღიარების შედეგია.

აშკარაა, რომ ნებისმიერი სოციალური კვლევის წარმატება დამოკიდებულია საზოგადოების კეთილგანწყობაზე მკვლევრების მიმართ, რესპონდენტების ნდობაზე ინტერვიუერებისა და გამოკვლევის ორგანიზატორებისადმი, მათ რწმენაზე, რომ კვლევა ტარდება კეთილსინდისიერად, ობიექტურად, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით და რომ დაცული იქნება რესპონდენტთა კონფიდენციალობა. ეთიკის კოდექსის მიზანია, აამაღლოს სოციალური კვლევების საზოგადოებრივი პრესტიჟი, გააძლიეროს ნდობა ამ ტიპის საქმიანობის მიმართ და მისი წარმართვისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნას.

ეთიკური საკითხები. მონაწილეთა კონფიდენციალურობა კვლევაში დაცულია. კვლევის თითოეულ მონაწილეს, მასწავლებელს, მოსწავლესა თუ მშობელს გავაცანი კვლევის შინაარსი. დეტალურად ავუხსენი კვლევისთვის მათი მონაწილეობის მნიშვნელობა.

თავი III კვლევის შედეგები და მისი ანალიზი

3.1.ფოკუს ჯგუფების ზოგადი ანალიზი (მოსწავლეები)

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოქალაქეობის საგნის სწავლება სკოლაში არ უნდა იყოს სავალდებულო. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, მოქაალაქეობის საგნის გაკვეთილები უმნიშვნელოდ უწყობს ხელს მოსწავლეთა ღირსეულ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამასთან, მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა სამოქალაქო განათლების საგანს საინტერესოდ ვერ მიიჩნევს.სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების დონით კმაყოფილია გამოკითხულ მოსწავლეთა მესამედი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ეფექტიანობის შეფასება, რადგან საგანი შედარებით ახალი შეტანილია სასკოლო კურიკულუმში და მათი აზრით, გასული დრო არ იძლევა ცალსახა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილში იგრძნობა განწყობა, რომ ამ ეტაპზე მოქალაქეობის სწავლების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ მოქალაქეობის შესწავლა ეფექტურად მიმდინარეობს.

კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა ნაწილი თვლის, რომ სამოქალაქო განათლების საგნის მასალები საჭიროებს გადახედვასა და განახლებას. მოსწავლეთა მიერ მოყვანილი მაგალითები, სამოქალაქო აქტივობის შესახებ, არ ასახავას რაიმე კონკრეტულ ან არსებითად სხვა ხასიათის აქტივობაში ჩართულობას. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს აპოლიტიკური ხასიათის სამოქალაქო აქტივობებში, მაშინ, როდესაც რესპონდენტთა ნახევარი პროცენტს ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის სურვილი არ გააჩნია.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს,რომ მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების

შესაძლებლობა და სიხშირე არ არის მაღალი.

გამოკითხულ მოსწავლეთა დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო არ იძლევა სამოქალაქო განათლების საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სკოლაშივე გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ დაუგეგმავს საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო აქტივობები. იმ რესპონდენტებიდან, რომელთაც საკუთარი ინიციატივით დაუგეგმავთ სამოქალაქო აქტივობები, ნახევარი აცხადებს, რომ მათი აქტივობის მთავარი სამიზნე იყო სკოლა.

დაახლოებით მესამედისთვის ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობა. არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა მიღებული აქვს გამოკითხულ მოსწავლეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. რამდენად უზრუნველყოფს სკოლა მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში?

ამ შეკითხვაზე თითქმის ყველა რესპოდენტმა (მოსწავლემ) უარყოფითად უპასუხა. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ სკოლა არასაკმარისად ზრუნავს მათ ჩართულობაზე, რაზეც გულდაწყვეტით საუბრობენ: „როგორც ჩემი- თინეიჯერის ერთგვარი მოსაზრებით სკოლა არასაკმარისად ზრუნავს მოსწავლეთა ჩართულობაზე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამინისტროს თავად აქვს გააზრებული სკოლებში ამ საგნის დამატების აუცილებლობა, არ არის საკმარისი ჩვენთვის, მოსწავლეებისთვის უამრავ კითხვის ნიშანს გავცეთ პასუხი. სკოლაში საგანი მხოლოდ მოვალეობის დონეზე ისწავლება, მხოლოდ.“ რას შეეხება მასწავლებლებს არნიშნულ შეკითხვაზე პასუხისაგან თავი შეიკავეს.

3.2. ფოკუს ჯგუფების ანალიზი (მასწავლებლები და მშობლები)

მასწავლებელთა დიდი ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს „შესაძლებლობის ფარგლებში" დაეხმაროს მოსწავლეებს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებაში, ამასთან, კონკრეტული მოსაზრებები ვერ წარმოადგინეს, თუ რა ფორმით შეიძლება გამოიხატოს ეს დახმარება. ამასთან, პედაგოგთა ნაწილი ხაზს უსვამს სამოქალაქო ინიციატივების განხორციელებისათვის შეუსაბამო გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლობას (რაც ართულებს პედაგოგების ჩართვას მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში), ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ სახის ინიციატივებში კლასის დამრიგებლის დახმარება უფრო ეფექტიანი იქნება. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა მოტივაციის დონე, მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა სამოქალაქო ატივობებში ან დაეხმარონ მათ ამგვარი ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში, არ არის მაღალი.

შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდით სამოალაქო განათლების სწავლების ხარისხს სკოლაში- კითხვასთან დაკავშირებით მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო განათლების სწავლება საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დგას. მთავარ პრობლემას ამ საგნის არასრულფასოვან საგნად აღქმა წარმოადგენს მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან, რომელიც არ მოიცავს იმ არეალს, რისი პოტენციალიც ამ საგანს აქვს, მათი აზრით სამოქალაქო განათლების სწავლება საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დღას. მთავარ პრობლრმას ამ საგნის სრულფასოვან საგნად აღქმა წარმოადგენს, ის მეორეხარისხოვან საგნად აღიქმება სკოლებში და შესაბამისად ნაკლები ყურადღბა ექცევა მოსწავლეების მხრიდანაც.

მშობელთა აზრით ამ საგნის მე-7 კლასიდან სწავლების დაწყება 2019 წლიდან დადებით მოვლენად აღიქმება. ასევე დადებით მოვლენად არის შეფასებული სხვადასხვა ტიპის პროექტებში მონაწილეობის გაზრდა, რაც მათი აზრით დიდ გამოცდილებას აძლევს მოსწავლეებს მომავალი პედაგოგთა მცირე ნაწილი ინფორმირებულია ბოლო პერიოდის მიღწევების შესახებ. თავადაც არიან

სამოქალაქო ფორუმის ღონისძიებებში ჩართული. და მაგალითისთვის მოჰყავთ სკოლაში არსებული სამოქალაქო განათლების კლუბიც, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა

უაროფითი პასუხი გასცა ან საერთოდ ვერ უპასუხა შეკითხვას ინფორმაციის არქონის გამო.

პედაგოგთა უმრავლესობა ამბობს რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა, რომელსაც ბოლომდე არ/ან ვერ იყენებს. სკოლა ნაკლებად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას, ვინაიდან ეს ჩართულობა არ არის შესამჩნევი მნიშვნელოვან სამოქალაქო აქტივობაში.

გამოკითხულთა ნაწილს მიაჩნია, რომ მხოლოდ სამოქალაქო განათლების ინტენსიური სწავლება არ განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. მნიშვნელოვანია, რა წიგნებით, რა სიახლეებით და რა თანამედროვე თუ კლასიკური მაგალითებით ვამდიდრებით ახალგაზრდების ცნობიერებას:

მშობლების დიდმა ნაწილმა შეკითხვაზე თუ როგორ შეაფასებდა სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხს სკოლაში - უარყოფითად უპასუხა: „სამწუხაროდ სკოლებში სამოქალაქო განათლება არ ისწავლება ისეთი დონით, როგორც შეეფერება ამ საგანს, ჩემი აზრით, მას უფრო მეტი დატვირთვა უნდა ქონდეს სკოლებში“, „ სამწუხაროდ ეს ითვლება საგნად, რომელიც არ არის გამოსაყენებელი და სკოლაში არ ვსწავლობთ სათანადოდ“, „ სამოაქლაქო განათლება არც ისე მაღალ ხარისხზე ისწავლება, ითვლება , რომ ის არის მეორეხარისხოვანი საგანი და ამიტომ მოსწავლეებს დიდი ინტერესი არ გაგვაჩნია“, „ მეორეხარისხოვანია და ამიტომ, ყურადღებას არ ვაქცევთ“, „ საგანი მეორეხარისხოვანია, და ამიტომ მოსწავლეების დამოკიდებულება არის აგდებული“, „გმეორეხარისხოვანი საგანია, მოსწავლეები საერთოდ არ ესწრებიან ამ საგანს, არავინ ესწრება და მათ შორის არც მე“.

შეკითხვაზე უნდა იყოს თუ არა, საგანი - „მოქალაქეობა“ სავალდებულო დამამთავრებელ კლასებში მშობელთა დიდმა ნაწილმა უარყოფითად უპასუხა. „ ვფიქრობ, რომ სამოქალაქო განათლება არ უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ დაწყებით კლასებში“, „ არ უნდა იყოს სავალდებულო“, „ არ უნდა ისწავლებოდეს

დამამთავრებელ კლასებში.“ რამოდენიმე მშობელს არ ქონდათ ამ საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაბამისად თავი შეიკავა პასუხისაგან. მშობელთა უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა ინდიფერენტულ დამოკიდებულება

ამ საგნის მიმართ.

3.3. ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორთან

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზნს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი გამოწვევების გამოვლენა ქალაქ თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მაგალითზ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხდა ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩატარება ქალაქ თბილისის 192ე საჯარო სკოლის დირექტორთან .ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუდან გამოიკვეთა რომ, თანამედროვე ქართული განათლების სისტემის მოდელი დაიტერესებულია მოსწავლეები მოამზადოს აქტიური მოქალაქეობისთვის. მნიშვნელოვანია სკოლაში დაიწყოს დემოკრატიულო მოქალაქეობისთვის საჭირო უნარების განვითარება.

სკოლის არასათანადო დაინტერესება და ჩამორჩენა სამოქალაქო საზოგადაოებასთან ინტეგრაციის საკითხებში ფაქტიურად განათლების სამინისტროს ნაკლები დაინტერესებით არის განპირობებული, ვინაიდან სკოლას მნიშვნელოვანი როლი აკისრია პიროვნების ჩამოყალიბებაში და ის ერთგვარი საზოგადოების მინიმოდელია, სასურველია აქ მოხდეს ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ყველა იმ გამოწვევით, რომლებიც მას შეხვდება სკოლის მიღმა:

ჩვენი მხრიდან საკუთარი სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში ვცდილობთ ჩავატაროთ სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მეტ ჩართულობას კითხვაზე რამდენად ახერხებენ მოსწავლეები სწავლის პროცესში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას სკოლის დირექტორი შემდეგნაირად პასუხობს – „ მიმდინარე რეფორმის ერთ–ერთ ყველაზე დიდ პლიუსად შეიძლება სწორედ ეს დასახელდეს. მოსწავლეს საშუალება მიეცა, რომ თავისი შესაძლებლობის რეალიზაციის ზღვარი თვითონ დაწეროს. დღეს საშუალება გახდა მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების

დახმარებითაც მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობები უკეთ გამოავლინოს. ცხადია, რომ ბოლო სამი წელიწადის განმავლობაში რადიკალურად გაიზარდა მოსწავლეთა თვითრეალიზების საშუალება.

შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდით მოსწავლეების შეხედულებების ევოლუციას ბოლო პერიოდში, სკოლის დირექტორი აღნიშნავს: ,, ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ ტოლერანტობაზე. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა „მსოფლიო დაავადების“ სახე მიიღო. ახალგაზრდებს სხვისი ტკივილის გულთან მიტანა ძალიან უჭირთ. ისინი გაუცხოებულები ხდებიან ერთმანეთის მიმართ და ზოგადად, საზოგადოების მიმართ, სამწუხაროდ მე არა მაქვს ახსნა თუ რამ განაპირობა ასეთ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. შეესაძლებელია, მხოლოდ ერთი მიდგომით ვიხელმძღვანელოთ - ეს არის სკოლის, ოჯახისა და ზოგადად საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოზარდებში ბუნებრივად მოვახერხოთ თანამედროვე, ჯანსაღო ნორმების იმპლიმენტაცია, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცილებას უნდა ეფუძნებოდეს. ეს ბუნებრივი პროცესები უფრო მეტად სკოლისა და მასწავლებლების პრეროგატივაა. ამასი კი განათლების სამინისტროს კეთილი ნებაც არის მნიშვნელოვანი.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად სკოლაში გატარებული მიზნობრივი ღონისძიებებისა, რომელსაც განათლების სამინისტრო ატარებს, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა რჩება, რომლის მიზეზების შესწავლა და შემდგომი აღმოფხვრა მხოლოდ „მოქალაქეობის“ საგნის სწავლების გაძლიერებით არის შესაძლებელი, რომელიც შეაჩერებს მოზარდების გაუცხოების პროცესს სოციუმთან და გამოიწვევს მათ ჩართულობას არსებული გამოწვევების გადაჭრაში. ეს კი შესაძლებელია საგანი „მოქალაქეობისთვის“ პრიორიტეტების გაზრდით.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში მოსწავლეთა მეტი ჩართულობა არსებულ

გამოწვევებს უნდა პასუხობდეს. საზოგადოების თვითშეგნების გაზრდა მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებით და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდით არის შესაძლებელი, ეს ხელს შეუწყობს შემცირდეს ძალადობა, თვითმკვლელობა,ბულინგი, ეროვნული უმცირესობების უფლებების დარღვევა, რასიზმი, რელიგიური შეუწყნარებლობა და მსგავსი ტიპის დანაშაულები: „ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი და წარმოუდგენელია მოსსწავლეთა ჩართულობის გარეშე. ერთი მხრივ, მოსწავლეები არიან ამ საზოგადოების წევრებიც და ეს ყველა პრობლემა მათზეც ახდენს გავლენას თავისთავად. ამავე დროს, სწორედ ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა გადაჭრან ეს პრობლემები.'' მათი მოსაზრებით, ინფორმაციულობა ხელს შეუწყობს პრევენციასაც და თუკი ეს პრობლემები კარგადაა გააზრებული მეტი ტოლერანტი ახალგაზრდა შეემატება საზოგადოებას. ძალაინ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ადრეული ასაკიდანვე გააცნობიეროს მისი უფლებები და იცოდეს რა ვალდებულებები გააჩნია მას, როგორც მოქალაქეს.

კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მიმართ ბევრი შეკითხვა არსებობს. საჯარო სკოლები აქტიურად არ ცდილობენ მოსწავლეთა სოციალიზაციას როგორც სასკოლო გარემოში ასევე ზოგადად საზოგადოებაში.

საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები არ არიან დაინტერესებული აქტიურად მოახდინონ მოზარდების სოციალიზაცია როგორც სასკოლო გარემოში ასევე საზოგადოებრივ გარემოში. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო სკოლის საგნის პედაგოგები ცდილობენ გაზარდონ ინფორმირებულობა, დაინტერესება მოზარდებს შორის, მაგრამ იმისათვის რომ საგანი პოპულარული გახდეს აუცილებელია განათლების სისტემის მხარდაჭერა და აკადემიური წრეების ჩართულობის გაზრდა ამ საკითხის მნიშვნელობის უკეთ წარმოჩინებაში. რადგანაც მოცემული საგანი არის პირველი საწყისი ჯანსაღი და პროგრესული ახალი თაობის ჩამოყალიბების გზაზე.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში სამი ინსტიტუტი მონაწილეობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია ოჯახს როგორც პირადი

ფასეულობების ინსტიტუციონალიზაციის ნიმუშს, მეორე ადგილზეა სახელმწიფო, რომელიც საზოგადო ფასეულობათა ინსტიტუციონალიზაციის მაგალითია, ხოლო მესამეზე – სკოლა, რომელიც წარმოადგენს საზოგადო და პირადი ინსტიტუტების გაერთიანებას ოპტიმიზაციის პრინციპით ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირად და საზოგადო ინტერესთა ერთობლიობას. განსაზღვრულ შემთხვევებში სკოლა უფრო დიდ როლს ასრულებს პიროვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, ვიდრე ოჯახი. ასევე, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ბავშვებთან ურთიერთობაში სკოლას უფრო საპასუხისმგებლო როლი აკისრია, ვიდრე ოჯახს

რეკომენდაციები

განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და

მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომლის ჩამოყალიბებაში სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებაში ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, სამოქალაქო საზოგადოების სრულყოფისკენ.

სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლიც სკოლებში სამოქალაქო განათლების მოღებას უკავშირდება, კვლავ რჩება ბევრი გამოწვევის წინაშე. ასევე, გამოწვევებს შორის არის განათლების კავშირი მოზარდთა სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხებში.

- აუცილებელია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს სკოლის მოსწავლეთა და ასევე მათი მშობლების - საზოგადოების იმ წევრების ცნობიერების ამაღლებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ მოზარდების სოციალიზაციას;
- მიზანშეწონილია სახელმწიფომ უზრუნველყოს სკოლის პედაგოგების ტრენინგები და გადამზადება სამოქალაქო განათლების კუთხით და ამ საკითხების ცოდნა გათვალისწინებული იქნეს ახალ სქემაში მასწავლებელთა დაწინაურების დროს;
- აუცილებელია, რომ განათლების სამინისტრომ მაქსიმალურად მიაწოდოს ინფორმაცია და ხელი შეუწყოს სკოლის ხელმძღვანლობას, მოსწავლეთა მშობლებს, მათი შვილების ჩართულობის შესახებ სამოქალაქო აქტივობებში;
- რეკომენდირებულია სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდოს იმ ორგანიზაციების, ცენტრების დაფინანსება, რომლებიც გაცილებით
- უფრო უკეთ ახერხებენ სკეპტიკურად განწყობილი მოზარდების სოციალიზაციას;
- სკოლამ უზრუნველყოს ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და

ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას და მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში;

- სასურველია საგნის პედაგოგებმა გააძლიერონ მუშაობა სკოლაში დაწყებითი საფეხურისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ;
- სკოლის პედაგოგები სასურველია დაინტერესდნენ და მაქსიმალურად იყვნენ ჩართულები ჯანსაღი გარემოს შექმნაზე მოზარდებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორგოძე ს. სკოლა და საზოგადოება, 2016. http://liberali.ge/articles/view/24305/skola-da-sazogadoeba

2. ბეჟანიშვილი ა., სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისთვის, 2017. https://cure.erasmusplus.org.il/pluginfile.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf
3. სილაგაძე ნ., თევზაძე რ.,2013 - სამოქალაქო განათლება - გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, თბ., http://ncp.ge/files/subjects/sazogadoebrivi%20mecnierebebi/samoqalaqo%20ganatleba/gzamkvlevi%20samoqalaqo%20ganatlebashi.pdf
4. უოლტერ ფეინბერგი, იონას ფ. სოლტისი, სკოლა და საზოგადოება მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა Teachers college press, 2009 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2012) https://gtu.ge/Arch/Pdf/publications/wignebis%20anotaciebi.pdf
5. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]
6. ზურაბიშვილი თ., თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის, http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Klevebshi.pdf
7. ლუის კოჰენი, ლოურენს მანიონი, ქეით მორისონი -კვლევის მეთოდები განათლებაში, მეექვსე გამოცემა http://medialiteracy.ge/uploads/library/kvlevis-metodebi-ganatlebashi-luis-koheni-53.pdf
8. Paul Orlowski (2018), Teaching for Civil Society in Finland: A Canadian Perspective on Finnish Educators' Reflections.

https://www.researchgate.net/publication/325933779_Teaching_for_Civil_Society_in_Finland_A_Canadian_Perspective_on_Finnish_Educators'_Reflections

9. Hilton, Matthew. McKay, James. Crowson, Nicholas. Mouhot, Jean-Francois. Civic participation and social responsibility . University of Birmingham , n.d.2014

10. Jason Gainous, Allison M. Martens (2012). The Effectiveness of Civic Education: Are "Good" Teachers Actually Good for "All" Students?
https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1532673X11419492

11. Smith, Aaron. "Civic Engagement in the Digital Age." Pew Research Center, 2013.

12. PH-international
Advancing Societes, Connecting People
https://www.ph-int.org/office
https://www.researchgate.net/publication

13. Mike Watts , Dave Ebbutt - More than the Sum of the Parts: research methods in group interviewing, 1987
https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1080/0141192870130103

14. Ying Ao (2016) The Impact of Cross-Cultural Communication on Foreign Managers' Leadership Style in China-Based International Organization, https://www.scirp.org/(S(351jmbntvnsjt1aadkposzje))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1872888

15. მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი. 2012
https://ge.boell.org/ka/2012/03/22/mokalakis-roli-politikashi-ras-nishnavs-samokalako-aktivizmi

დანართი 1

კითხვარი

1.ასაკი:
2.სქესი:
3.დაასახელეთ სამიზნე ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნებით?
ა) მასწავლებელი
ბ) მოსწავლე
გ) მშობელი
4.როგორ შეაფასებდით მოქალაქეობის სწავლების ხარისხს სკოლაში?
_____
_____
_____
5.რაში ეხმარებათ მოსწავლეებს ,, მოქალაქეობის“ სწავლება?
_____
_____
_____
6.თქვენი აზრით, უნდა ისწავლებოდეს თუ არა საგანი ,,მოქალაქეობა“ მე-11 და მე-12 კლასებში?
_____
_____
_____
7.ხართ თუ არა ინფორმირებული სამოქალაქო სწავლების სფეროში არსებული წარმატებების შესახებ, რომელიც ეხება კონკრეტულ სკოლას (ან ქვეყნის მასშტაბით)?
_____
_____
_____
8.ხართ თუ არა ინფორმირებული და შესაბამისად, როგორ შეაფასებდით სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას (ლადო აფხაზავას წარმატება)?
_____
_____
_____
9.რამდენად უზრუნველყოფს სკოლა მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში?
_____
_____
_____
10.თქვენი შეფასებით სამოაქალქო განათლების უფრო ინტენსიური სწავლება 8.რამდენად განსაზღვრავს ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესს და ასევე, თანამედროვე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას?
_____
_____
_____
11.როგორ ფიქრობთ მოსწავლეთა მეტი ჩართულობა რამდენად უპასუხებს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს (ძალადობა, თვითმკვლელობა,ბულინგი, ეროვნული უმცირესობების უფლებების დარღვევა, რასიზმი, რელიგიური შეუწყნარებლობა და ა.შ)
_____
_____
_____